

რეკომენდაციები საგადახდო ბარათის მფლობელებისთვის

1. საგადახდო ბარათის მიღება და შენახვა

- საგადახდო ბარათის მიღებისთანავე შეამოწმეთ, სწორად არის თუ არა თქვენი სახელი და გვარი დაფიქსირებული ბარათზე და მოაწერეთ ხელი მის უკანა მხარეს სპეციალურად ხელმოწერისათვის განკუთვნილ ადგილზე. *(შენიშვნა: გარკვეული ტიპის ბარათებზე არ არის სავალდებულო სახელის და გვარის მითითება);*
- შეგიძლიათ მოითხოვოთ ბარათის შეცვლა, თუ:
 - ✓ ბარათზე მითითებული სახელი და გვარი არ შეესაბამება თქვენს განაცხადში აღნიშნულს;
 - ✓ ბარათის მეშვეობით ვერ ხორციელდება პირველი ოპერაციის შესრულება;
- შეგიძლიათ მოითხოვოთ პინ-კოდის/ბარათის შეცვლა, თუ პინ-კოდი დაბეჭდილია გაურკვეველად;
- პინ-კოდი გადმოგეცემათ დახურულ კონვერტში. რეკომენდირებულია მისი დამახსოვრება და შენახვა უსაფრთხო ადგილას. არ შეინახოთ იგი ბარათთან ერთად, არ დააწეროთ იგი ბარათს და არ ჩაიწეროთ სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას;
- პინ-კოდის დავიწყების ან დაკარგვის შემთხვევაში მიმართეთ ემიტენტ (ბარათის გამომშვებ) ბანკს;
- საგადახდო ბარათთან ერთად sms მომსახურებით სარგებლობა საშუალებას მოგცემთ, ოპერატიულად მიიღოთ ინფორმაცია ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინების სახით. აღნიშნული მომსახურება ბარათით განხორციელებული ოპერაციების გაკონტროლების კარგი საშუალებაა;
- გაუფრთხილდით ბარათს. არ დატოვოთ იგი ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტები სამსახურში, მანქანაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;
- არ გადასცეთ პინ-კოდი და/ან ბარათი მესამე პირს, მათ შორის ოჯახის წევრებსაც კი. თქვენი პინ-კოდი არ გასცეთ მაშინაც კი, თუ ამას პოლიცია ან თქვენი ბანკი გთხოვთ.
- არ გააგზავნოთ ბარათის სრული მონაცემები: ნომერი, ვადა, ბარათის მეორე მხარეს მითითებული სამ ან ოთხნიშნა კოდი ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- დაიცავით ბარათის მაგნიტური ზოლი და/ან ჩიპი გარე ზემოქმედებისაგან, როგორცაა: ელექტრომაგნიტური ველი (ეკრანთან, დამაგნიტებულ ან მაგნიტთან ახლოს განთავსებულ საგნებთან (გასადებები, ჩანთაზე არსებული მაგნიტური საკეტები და სხვა) ახლოს განლაგება), მექანიკური დაზიანება (დაკაწვრა, გაღუნვა, გატეხვა, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედება) და სხვა, რამაც შეიძლება დააზიანოს მაგნიტურ ზოლზე არსებული ჩანაწერები და შეუძლებელი გახადოს საბარათო ოპერაციის ჩატარება;
- მოგზაურობის დროს:
 - ✓ გამოიყენეთ მხოლოდ ერთი ბარათი;

- ✓ დარწმუნდით, რომ გაქვთ თქვენი ბანკის 24სთ-იანი ცხელი ხაზის ნომერი;
 - ✓ გადაამოწმეთ, რომ თქვენს ბანკს აქვს თქვენი მობილური ტელეფონის განახლებული ნომერი;
 - ✓ არ დატოვოთ უყურადღებოდ თქვენი ბარათი სასტუმროში, სავაჭრო ადგილებში, რესტორნებში და ბარებში;
- ხშირად აკონტროლეთ თქვენი საბარათე ანგარიშის ამონაწერი. ნებისმიერი საექვო ტრანზაქციის აღმოჩენისას, სასწრაფოდ აცნობეთ ემიტენტ ბანკს აღნიშნულის შესახებ მიზეზის გარკვევის და/ან ბარათის სტოპ-სიაში ჩასმის მიზნით.

2. საგადახდო ბარათის გამოყენება

2.1. ნაღდი ფულის მიღება

- ეცადეთ ისარგებლოთ ისეთი ბანკომატით, რომელიც მდებარეობს ღია, კარგად განათებულ ადგილას;
- კარგად დაათვალიერეთ ბანკომატი. რაიმე უჩვეულო (არასტანდარტული) მოწყობილობის შემჩნევის ან ბანკომატის გაჭიანურებული მუშაობის შემთხვევაში, თავი აარიდეთ მის გამოყენებას და ტელეფონით აცნობეთ ბანკომატის მფლობელ ბანკს;
- დადექით ახლოს ბანკომატთან. ყურადღება მიაქციეთ თქვენს უკან მდგომ მომხმარებელს რომ მან არ დაინახოს თქვენი პინ-კოდი. შეგიძლიათ ბანკომატის კლავიატურა დაფაროთ თქვენი თავისუფალი ხელით და სხეულით, რომ თქვენს უკან მდგომმა პირმა ვერ შეძლოს თქვენს მიერ აკრეფილი პინ-კოდის გარჩევა;
- ბანკომატიდან ფულის გამოტანის დროს იყავით მობილიზებული და ყურადღებიანი. პარალელურად არ აკეთოთ რაიმე სხვა საქმე (თუნდაც მობილურ ტელეფონზე საუბარი);
- ბანკომატის მიერ მოცემული თანხა და ბარათი აიღეთ ტრანზაქციის დასრულებიდან 20 წამის განმავლობაში, რათა არ მოხდეს ბარათის და/ან თანხის დაკავება ბანკომატის მიერ;
- ბარათის და/ან ნაღდი ფულის ბანკომატში დაკავების შემთხვევაში მიმართეთ ემიტენტ ბანკს. მიზეზის გამოკვლევა მოხდება ბანკის მიერ დადგენილ ვადაში;
- თქვენს შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, რეკომენდირებულია ამობეჭდილი ქვითრის თან წაღება. გაითვალისწინეთ, რომ ბანკომატიდან მიღებულ ქვითარზე შესაძლებელია მითითებული იყოს თქვენი სახელი და გვარი ან თქვენს მიერ განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორცაა ოპერაციის თანხა, ანგარიშზე დარჩენილი თანხა და სხვა;
- აუცილებლად დაითვალიეთ ბანკომატიდან მიღებული თანხა. თუ იგი არ შეესაბამება თქვენს მიერ მოთხოვნილს, მიმართეთ ემიტენტ ბანკს;
- თანხის გაცემაზე უარის შემთხვევაში შეამოწმეთ საკმარისი ნაშთის არსებობა თქვენს საბარათე ანგარიშზე, გადაამოწმეთ ბარათის მოქმედების ვადა, ასევე დააკვირდით პინ-კოდის აკრეფის სისწორეს. თუ კვლავ არ ხერხდება ოპერაციის შესრულება, დაუკავშირდით ემიტენტ ბანკს;

- დაიმახსოვრეთ: უმეტეს შემთხვევებში პინ-კოდის სამჯერ შეცდომით აკრეფის დროს მოხდება ბარათის ავტომატური ბლოკირება და/ან მისი დაკავება ბანკომატის მიერ;
- ტრანზაქციის დასრულების შემდეგ ჯერ შეინახეთ ბარათი და ფული და შემდეგ დატოვეთ ბანკომატის მიმდებარე ტერიტორია.

2.2. სავაჭრო /მომსახურების ობიექტებში გადახდის განხორციელება

- პოს-ტერმინალით სარგებლობის დროს მოითხოვეთ, რომ ტრანზაქცია ჩატარდეს თქვენი თანდასწრებით. არ გაატანოთ ბარათი მომსახურე პერსონალს (მათ შორის ბენზინგასამართ სადგურებზე, რესტორნებში და სხვა);
- ეცადეთ პინ-კოდი აკრიფოთ ისე, რომ სხვა პირმა (მათ შორის მომსახურე პერსონალმა) ვერ შეძლოს მისი დანახვა (შეგიძლიათ პინ კოდის აკრეფის დროს მეორე ხელით დაფაროთ კლავიატურა);
- სავაჭრო ან მომსახურე ობიექტი არ არის უფლებამოსილი საქონლის ან მომსახურების ღირებულებას დაუმატოს ბარათით მომსახურების საკომისიო. ამგვარი შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ ემიტენტ ბანკს;
- სავაჭრო ობიექტში ბარათის გამოყენებისას აუცილებლად მოითხოვეთ ქვითარი, ყურადღებით შეამოწმეთ მასზე ასახული თანხის სისწორე. არასწორი თანხის შემთხვევაში მოითხოვეთ დაბრუნების ოპერაციის ჩატარება, რადგან თქვენს საბარათე ანგარიშზე უკვე მოხდა შესაბამისი თანხის ბლოკირება. ტრანზაქციის გაუქმების დროს აუცილებლად მოითხოვეთ გაუქმებული ტრანზაქციის ქვითარი;
- თუ რაიმე ტექნიკური გაუმართაობის დროს მოხდა თქვენი ბარათის პოს-ტერმინალში ორჯერ გატარება, დაელოდეთ მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინებას ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხის შესახებ. თუ აღმოჩნდა, რომ ჩამოჭრილი გაქვთ ორმაგი ოდენობის თანხა, მაშინვე მოითხოვეთ დაბრუნების ოპერაციის ჩატარება. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ბანკში არა გაქვთ გააქტიურებული sms შეტყობინების სერვისი, პირველივე შესაძლებლობისთანავე გადაამოწმეთ თქვენი საბარათე ანგარიში და მოითხოვეთ შეცდომით ჩამოჭრილი თანხის უკან დაბრუნება;
- გადახდილი თანხის უკან დაბრუნება არ ხორციელდება ნაღდი სახით;
- თქვენს საბანკო ანგარიშზე რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, წარუმატებელი ოპერაციის შემთხვევაში შეინახეთ ტერმინალის მიერ ამობეჭდილი ქვითარი.

2.3. ბარათის გამოყენება ინტერნეტში

- ეცადეთ ტრანზაქცია განახორციელოთ კარგად დაცული კომპიუტერიდან, სადაც ოპერატიული სისტემა გამართულია, დაყენებულია ფაირვოლი, ბრაუზერი და განახლებული ანტი-ვირუსული პროგრამა;
- მოერიდეთ ინტერნეტ ტრანზაქციების განხორციელებას საერთო მოხმარების კომპიუტერიდან (ინტერნეტ კაფეებში და სხვა);

- ინტერნეტით პროდუქციის/მომსახურების შეძენამდე ეცადეთ წინასწარ გამოიკვლიოთ ინფორმაცია იმ ინტერნეტ-მაღაზიის (ვებ-საიტის) სანდოობის შესახებ, სადაც აპირებთ ბარათით გადახდას;
- ტრანზაქციის განხორციელების დროს ინტერნეტ მაღაზიას (ვებ-გვერდს) უფლება აქვს შეგავსებინოთ სპეციალური ველები ბარათზე გამოსახული მხოლოდ შემდეგი ინფორმაციით: ბარათის მფლობელის სახელი და გვარი, ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, ბარათის უსაფრთხოების ოთხნიშნა ან სამნიშნა კოდი, და ზოგ შემთხვევებში ემიტენტი ბანკის ტელეფონის ნომერი. ასეთი გადახდების დროს არ შეიძლება ბარათის პინ კოდის მითითება;
- სასურველია ინტერნეტში არ გამოიყენოთ ისეთი ბარათი, რომელზეც განთავსებული გაქვთ დიდი ოდენობის თანხა. ასეთი გადარიცხვებისთვის სასურველია იქონიოთ ცალკე ბარათი (ცალკე ანგარიში), სადაც შეინახავთ თანხის იმ ოდენობას, რომელიც საჭიროა ოპერაციის შესასრულებლად;
- არ მიაწოდოთ თქვენი ბარათის დასკანერებული ასლი ისეთ ინტერნეტ-საიტს, რომელთანაც არ გაქვთ ურთიერთობის გამოცდილება (გაგზავნის შემთხვევაში ღიად დატოვებთ ბარათის ნომრის მხოლოდ პირველი და ბოლო 4 ციფრი, შუა 8 ციფრი წაშაღეთ). არასოდეს გაუგზავნოთ მაღაზიას თქვენი ბარათის უკანა მხარის კოპირებული ასლი;
- ინტერნეტ საიტზე დარეგისტრირებისას ყურადღება მიაქციეთ სარეგისტრაციო/საწევრო გადასახადის პერიოდულობას (გადასახადი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან ყოველთვიური/პერიოდული);
- მოერიდეთ საექვო ან უცნობ საიტებს;
- ტრანზაქცია განახორციელეთ სერტიფიკატით დაცულ ვებ გვერდზე - ინტერნეტ მისამართი უნდა იწყებოდეს "HTTPS://" -ით და არა "HTTP://";
- შეინახეთ გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითარი ელექტრონული ფაილის სახით ან ამობეჭდეთ ქაღალდზე პრინტერის გამოყენებით;
- თუ გამოწერილი საქონელი ვერ მიიღეთ დროულად, პირდაპირ დაუკავშირდით გამყიდველს. იმ შემთხვევაში თუ თქვენი ბარათიდან უკვე ჩამოჭრილია მთლიანი თანხა, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ბანკს.

3. საგადახდო ბარათის შეჩერება/გაუქმება

- ბარათის შეჩერების მიზნით ემიტენტი ახორციელებს ბარათის დაბლოკვას კლიენტის განცხადების საფუძველზე ან დამოუკიდებლად;
- ბანკომატში ბარათით ოპერაცია ვერ განხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:
 - ✓ დღიური განაღდების ლიმიტზე მეტი თანხის მოთხოვნისას;
 - ✓ როცა ბარათი შეტანილია ადგილობრივ ან საერთაშორისო სტოპ-სიაში;
 - ✓ ანგარიშზე თანხის გადახარჯვისას (არასანქცირებული ოვერდრაფტი).

- მომსახურების/სავაჭრო ობიექტის მიერ ბარათით ოპერაციის განხორციელებაზე უარის თქმა ხდება შემდეგ შემთხვევებში:
 - ✓ როცა ბარათის წარმდგენი არ არის მფლობელი;
 - ✓ გამოვლენილია ბარათის გაყალბების ფაქტი;
 - ✓ როცა მოლარეს ეჭვი ეპარება ბარათის ნამდვილობაში, ან მიაჩნია, რომ ბარათის გამოყენება ხდება არა მფლობელის მიერ.
- ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, თქვენი ბარათის დაბლოკვის მოთხოვნით დაუყოვნებლივ ტელეფონით აცნობეთ ემიტენტ ბანკს (ან ემიტენტი ბანკის მიერ განსაზღვრულ პირს). როგორც წესი, საკონტაქტო ტელეფონის ნომრები განთავსებულია ბარათის უკანა მხარეს;
- საბარათე ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტთან საბოლოო ანგარიშსწორება ემიტენტი ბანკის მიერ მოხდება საბარათე ანგარიშის დახურვიდან ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში.